სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

70346071749215

საქართველო

სანოტარო მოქმედების დასახელება

რწმუნებულების / მინდობილობის დამოწმება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N150665346

რეგისტრაციის თარიღი

24.06.2015 წ

ნოტარიუსი: სალომე სალუქვაძე
მისამართი: ქ. თბილისი, სიმონ ჩიქოვანის ქ. 27
ტელეფონი: 236-37-64

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო

სანოტარო აქტი

ორიათას თხუთმეტი წლის ოცდაოთხ ივნისს, მე- სალომე სალუქვაძეს, ნოტარიუსს საქართველოში, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს ქ.თბილისში, სიმონ ჩიქოვანის ქუჩა № 27-ში, მომმართა ბატონმა ბეჭან მესხმა, დაბ. 1964 წლის 17.02. პირადი №01014001787.

მან წარმოადგინა ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრიდან შპს "მ-5"-ის შესახებ, გაცემული 2013 წლის 05.09. მდგომარეობით და როგორც ამ საზოგადოების წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა- დირექტორმა განაცხადა, რომ სურს გარკვეული უფლებამოსილება მიანიჭოს ბატონ არჩილი ნარეკლიშვილს, დაბ. 1985 წლის 23.05. პირადი №20001018286

პირადობა დადგენილია წარმოდგენილი პირადობის მოწმობით და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონულ მონაცემთა ბაზის მეშვეობით. ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს.

დავადგინე მისი ნების გამოვლენის ნამდვილობა და შევადგინე მინდობილობის ტექსტი, რომელიც წავუკითხე მარწმუნებელს. განუმარტე მასზე ხელმოწერის სამართლებრივი შედეგი, მათ შორის ის გარემოება, რომ მას უფლება აქვს ნებისმიერ დროს გააუქმოს ეს მინდობილობა. რომ ამ მინდობილობის გაცემით, რწმუნებული უფლებამოსილია სრულად განახორციელოს მინდობილობით მინიჭებული უფლებები.

მინდობილობის ტექსტი მარწმუნებელმა წაიკითხა ჩემი თანდასწრებით და განაცხადა, რომ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილება სრულად ასახავს მის სურვილს და ხელი მოაწერა მას ჩემი- ნოტარიუსის თანდასწრებით.

მინდობილობა

ორიათას თხუთმეტი წლის ოცდაოთხ ივნისს, ბატონმა ბეჭან მესხმა, დაბ. 1964 წლის 17.02. პირადი №01014001787, როგორც შპს "მ-5"-ის წარმომადგენლობით უფლებამოსილმა პირმა- დირექტორმა, სრული უფლებამოსილება მიანიჭა ბატონ არჩილი ნარეკლიშვილს, დაბ. 1985 წლის 23.05. პირადი №20001018286, იყოს წარმომადგენელი კომპეტენტურ ორგანიზაცია - დაწესებულებებში ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობაში, უძრავი ქონების მარეგისტრირებელ ორგანოში, სამოქალაქო რეესტრში, საჯარო რეესტრში, შსს, იუსტიციის, სამინისტროებსა და მათ დაქვემდებარებულ ნებისმიერ უწყებებში, სახელმწიფო არქივებში, ნოტარიუსთა პალატაში, სანოტარო ბიუროში, ელ.ენერგიის, ბუნებრივი აირის და კომუნალური მომსახურების სამსახურებში, ნებისმიერი სხვა სახელმწიფო და არასახელმწიფო ორგანოებში, ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, მერიაში, გამგეობაში, მუნიციპალიტეტში, სამოქალაქო რეესტრის, საჯარო რეესტრის, არქიტექტურულ, საკადასტრო და სხვა შესაბამის კომპეტენტურ სამსახურებში, სამშენებლო-საპროექტო ნებართვებისა და მშენებლობის უფლების მოპოვებასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაფორმებისას.

მიმართოს განცხადებით შესაბამის სამსახურებს, შეაგროვოს შესაბამისი დოკუმენტები, ატვირთოს მერიის ელექტრონულ საიტზე არსებული დოკუმენტაცია, მიიღოს სარეკონსტრუქციო, სამშენებლო პროექტი, შეთანხმებული დოკუმენტაცია, დემონტაჟისა და მშენებლობის ნებართვა. საჭიროების შემთხვევაში, განახორციელოს არსებული პროექტის კორექტირება.

რწმუნებული უფლებამოსილია განახორციელოს რეკონსტრუქცია-მშენებლობასთან, შენობა-ნაგებობის ექსპლოატაციაში მიღებასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხის გადაწყვეტა, შესაბამისი იურიდიული დოკუმენტაციის გაფორმების, ხელმოწერისა და საჯარო რეესტრში რეგისტრაციის უფლებით.

რწმუნებული უფლებამოსილია ასევე იყოს წარმომადგენელი ელ.ენერგიის, ბუნებრივი აირის, წყალმომარაგების და კომუნალური მომსახურების სამსახურებში, გამრიცხველიანებასთან დაკავშირებული იურიდიული და ტექნიკური დოკუმენტაციის გაფორმებისას, ხელი მოაწეროს საბონენტო ხელშეკრულებას, განცხადებას.

დავის წარმოშობის შემთხვევაში იყოს წარმომადგენელი საქართველოს სასამართლო ორგანოების ნებისმიერ ინსტანციაში ყველა იმ უფლებებით, რაც მინიჭებული აქვს მოსარჩელეს, მოპასუხეს, და მესამე პირს. ცნოს არ უარყოს სარჩელი მთლიანად ან ნაწილობრივ, გამოითხოვოს სარჩელი, საქმე დაამთავროს მორიგებით. მიიღოს სააღსრულებო ფურცელი, მოახდინოს აღსრულება სახელმწიფო ან კერძო აღმასრულებლის მეშვეობით.

რწმუნებული უფლებამოსილია შეასრულოს ყველა ის იურიდიული და ტექნიკური ფორმალობები, რაც დაკავშირებულია ამ დავალების შესრულებასთან ყველა საჭირო დოკუმენტზე ხელმოწერის უფლებით.

მინდობილობა შედგენილი და ხელმოწერილია ხუთ ეგზემპლიარად, რომელთაგან ერთი ეგზემპლიარი ინახება სანოტარო ბიუროს საარქივო მასალებში, დანარჩენი მიეცა ხელზე მარწმუნებელს.

მინდობილობა გაცემულია სამი თვის მოქმედების ვადით.

გადახდილია სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ, საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29.12. № 507 დადგენილების 31.7.-მუხლის საფუძველზე- 10 ლარი, მუხლი 39- ის საფუძველზე- 2 ლარი- ელექტრონულ სანოტარო რეესტრში სანოტარო მოქმედების რეგისტრაციისათვის, სულ 12.00 ლარი

---------- [illegible] მესხი ----------

საქართველო. ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე GEORGIA. NOTARY SALOME SALUKVADZE ГРУЗИЯ. НОТАРИУС САЛОМЕ САЛУКВАДЗЕ 01019054805

ნოტარიუსი სალომე სალუქვაძე

